ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ №7

ქ. თბილისი 27 აგვისტო, 2013 წელი

მხარეები:

ერთის მხრივ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ შემდგომში წოდებული როგორც **„შემსყიდველი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ბეჟუაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, **შპს „კომპაუდი“** შემდგომში წოდებული როგორც **„მიმწოდებელი“**, წარმოდგენილი, მინდობილი პირის, ნუგზარ ხიჯაკაძის სახით,

ვმოქმედებთ რა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2011 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №337, სპეციალური შესყიდვების წესის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ეტაპები და ვადები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, შემსყიდველს გაუწიოს აუდიტორული მომსახურება (CPV კოდი: 79212000).

1.2. შემსყიდველი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება.

1.3. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. №95ა.

1.4. მომსახურების გაწევის დრო: 2013 წლის 27-30 აგვისტო.

2. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

2.1 მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

2.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ მას გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ შესაბამისი წესით და წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

2.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი პასუხობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.5 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

2.6 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით მითითებულ მომსახურებას არ გააჩნია რაიმე ნაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს არსებული მომსახურების შეცვლას ახლით შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის (მიმწოდებლისთვის) გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

2.7 მომსახურების ნაკლის გამო წარმოშობილი პრეტენზიის წარდგენის პირობები, ისევე როგორც სხვა ურთიერთობები, რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

2.8 მომსახურების დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო მოთხოვნილი მოუწოდებელი

მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისთვის.

2.9 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგაცილებულ სამუშაო დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

2.10 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2.11 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება აღნიშნული შეტყობინების გარეშეც.

2.12 მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2.13 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

2.14 ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

3. მხარეთა ვალდებულებები:

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1. ხარისხიანად და ჯეროვნად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; სამუშაოს შესრულებისას გამოიყენოს შესაბამისი ხარისხის ინსტრუმენტები.

3.1.2. აცნობს შემსყიდველს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც აფერხებენ მისი ვალდებულებების დროულად შესრულებას.

3.1.3. რეგულარულად მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

3.1.4. სამუშაოს სრულად განხორციელების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბაროს შემსყიდველს შესრულებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

3.1.5. შესრულებული სამუშაოს ჩაბარებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში მოქმედებს საგარანტიო ვადა. აღნიშნული ვადის განმავლობაში თუ შესრულებული სამუშაო აღმოჩნდება ნაკლის მქონე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ნაკლის/დაზიანების გამოსწორება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

3.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან წინამდებარე ხელშეკრულების ანგარიშსწორების წესის შესაბამისად.

3.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს შესრულებული სამუშაო.

4. სამუშაოს შესრულების ვადა

მიმწოდებელი 1.1 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 236 (ორას ოცდათექვსმეტ) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. განსაკუთრებული პირობები

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ სადაო საკითხებს გადაჭრიან ურთიერთშეთანხმებით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

6.2. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულიად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით – ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების პირობებისა და ფასის გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით.

7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ა.შ) და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

8.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ.

8.3. თუ აშკარაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარე დაუძლეველი ძალის ზემოქმედების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მხარეები ცალკე შეთანხმდებიან ამ ხელშეკრულების შესრულების პირობებსა და ვადებზე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ნაკისრ ვალდებულებათა სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

9.2.1. მხარეთა შეთანხმება;

9.2.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

9.2.3. ერთი მხარის მიერ 2 (ორი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

9.2.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

9.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“	შპს „კომპაუდი“
ს/კ 404391975	ს/კ № 202385169
ფაქტობრივი მისამართი: სანაპიროს №2, იუსტიციის სახლი, IV სართული, თბილისი 0105.	მისამართი: ქ. თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. №95ა.
საბანკო რეკვიზიტები: სს „კორსტანდარტბანკი“ ბანკის კოდი: KSBGGE22 საბანკო ანგარიში: GE56KS0000000360300004	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 საბანკო ანგარიში: GE62BG0000000192631800
დირექტორი გიორგი ბაკაურაძე	პასუხისმგებელი პირი ზურგანი ხუციკაძე